სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

31 დეკემბერი 2025

N 828/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმების შესახებ

სს „არ ემ ჯი კოპერი“ (ს/კ: 225358341) ახორციელებს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-2 დანართის (გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები) პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 08 ივლისის №2-626 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (შემდგომ - სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) უფროსის 2023 წლის 24 მარტის № DES72300000075 ბრძანებით (შემდგომ - №DES72300000075 ბრძანება), გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის, სს „არ ემ ჯი კოპერს“, კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის და 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დაეკისრა მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

№DES72300000075 ბრძანების მიხედვით, სს „არ ემ ჯი კოპერის“ უკანონო ქმედებამ გამოიწვია ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში, მდ. კაზრეთულასა და მდ. ფოლადაურში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობის დადგენილ ნორმებზე 10-ჯერ და მეტად გადაჭარბება.

ზემოაღნიშნული ზიანი, კანონის №1 დანართის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, წარმოადგენს გარემოსთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანს და შესაბამისად იწვევს გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.

სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ, კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად, 2023 წლის 31 მაისს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია, №DES72300000075 ბრძანებით დადგენილი დაზიანებული გარემოს - მდ. ფოლადაურის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისა და მდ. კაზრეთულას პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესახებ.

აქვე აღსანიშნავია, რომ მდ. კაზრეთულას დაბინძურებისთვის კომპანიას მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ასევე დაეკისრა სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 17/03/2023 წ. №DES72300000066 ბრძანებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანებით დადგენილი გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (მდ. კაზრეთულას დაბინძურება, წყლის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების გაუარესება, რამაც მდინარეში თევზის რესურსის განადგურება გამოიწვია) გამოსწორებასთან დაკავშირებით სააგენტომ 04/07/2023 წ. გამოსცა №316/ს ბრძანება („ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, სს „RMG Copper”-ის მიერ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენისა და პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ“)), რომლითაც კომპანიას დაეკისრა დაზიანებული გარემოს - მდ. კაზრეთულას პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა. ამავე ბრძანების

მიხედვით, კომპანიამ სააგენტოში შესათანხმებლად წარმოადგინა (18.12.2025 №193.224) გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მდ. კაზრეთულასთან დაკავშირებით გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებას. შესაბამისად, მდ. კაზრეთულას პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა განხორციელდება №193.224 წერილით წარმოდგენილი გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის მიხედვით.

რაც შეეხება, №DES72300000075 ბრძანებით განსაზღვრული დაზიანებული გარემოს ნაწილის (დაბინძურებული ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ფოლადაური)) აღდგენის საკითხს, სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული საქმისწარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ დაზიანებული გარემოს პირვანდელ (ზიანის მიყენებამდე არსებულ) მდგომარეობაში აღდგენა შესაძლებელია. შესაბამისად, სააგენტოს 2024 წლის 25 იანვარს გამოიცა №40/ს ბრძანება „სს „RMG Copper"-ის მიერ დაზიანებული გარემოს (დაბინძურებული ზედაპირული წყლის ობიექტები) პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის და პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესახებ", რომლის შესაბამისად, კომპანიას დაეკისრა ვალდებულება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში უზრუნველყოს მდინარე ფოლადაურში ჩაშვებულ ჩამდინარე წყლებში (მე-3 სანაყაროდან გამომავალი ხევი (X-457140, Y-4578285) და მისი გადამკვეთი ხევი (X-457200, Y-4578306)) დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობის შესაბამისი რეგულირება და აღნიშნული წერტილებიდან მდინარე ფოლადაურის დაბინძურების შესაძლებლობის აღკვეთა.

სააგენტოს უფროსის №40/ს ბრძანების მე-3 პუნქტისა და კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „არ ემ ჯი კოპერმა" 2024 წლის 4 ივლისს №143.055 წერილით სააგენტოში შესათანხმებლად წარმოადგინა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა „მდინარე ფოლადაურში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში (მე-3 სანაყაროდან გამომავალი ხევი (X-457140, Y-4578285) და მისი გადამკვეთი ხევი (X-457200, Y-4578306)) დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობის შესაბამისი რეგულირებისა და აღნიშნული წერტილებიდან მდინარე ფოლადაურის დაბინძურების შესაძლებლობის აღკვეთის შესახებ" (შემდგომ - გეგმა). აღნიშნული გეგმა მომზადებულია სს „არ ემ ჯი კოპერის" მიერ.

წარმოდგენილი გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რომლის მიზანია მდინარე ფოლადაურის დაბინძურების პრევენცია, ისტორიული და მიმდინარე დაბინძურების წყაროების სრული აღკვეთა, მძიმე მეტალებით გაჯერებული დრენირებული წყლების მდინარეებში მოხვედრის გამორიცხვა.

ზემოაღნიშნული გეგმის განხილვის მიზნით, კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე, სააგენტოს უფროსის 2024 წლის 5 სექტემბერის №499/ს ბრძანებით, შეიქმნა გეგმის განმხილველი კომისია, რომელშიც ჩართულები იყვნენ, როგორც საზოგადოებრივი ექსპერტები, ასევე სააგენტოს წარმომადგენლები.

გეგმის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დაინტერესებული პირ(ებ)ის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ, კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, ასევე უზრუნველყო ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, აღნიშნულ გეგმასთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირ(ებ)ის მიერ შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე სს „არ ემ ჯი კოპერ"-ის მიერ, 2025 წლის 18 დეკემბრის №193.228 წერილით წარმოდგენილი იქნა განახლებული გეგმა და მასთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია. წარმოდგენილი ინფორმაცია ითვალისწინებს მდ. ფოლადაურის და მასთან დაკავშირებული ხევების დაბინძურებისგან დაცვას, რაც მიიღწევა მე-3 სანაყაროს ხევში დრენირებული წყლების შემკრები სადრენაჟე ჭის მოწყობით, წყალდაცვითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და სისტემური მონიტორინგით. ამასთან, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გეგმას თან ერთვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ, დადასტურებული გეგმის ხარჯთაღრიცხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმებულად ჩაითვალოს სს „არ ემ ჯი კოპერის“ (ს/კ 225358341) მიერ 2025 წლის 18 დეკემბრის №193.228 წერილით წარმოდგენილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება) გამოსასწორებელი ღონისძიებების თანდართული გეგმა.

2. სს „არ ემ ჯი კოპერმა“ უზრუნველყოს №DES72300000075 ბრძანებით დაკისრებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში, მდ. ფოლადაურის დაბინძურების შესაძლებლობის აღკვეთა, შეთანხმებული გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებით, ამავე გეგმით/გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში.

3. სს „არ ემ ჯი კოპერი“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების შეთანხმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიმართოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული ღონისძიებების საერთო ღირებულების თანხის 2%.

4. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-11 მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის განხილვისთვის, სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯების (მათ შორის, ექსპერტიზის, კვლევითი სამუშაოების ღირებულების, საზოგადოებრივი ექსპერტის შრომის ანაზღაურებისა და სამივლინებო ხარჯების) სრულად ანაზღაურება, რამაც „ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის“ განხილვისას შეადგინა - 3 645 ლარი. სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ თანხის ანაზღაურება მოხდეს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

5. სს „არ ემ ჯი კოპერმა“ უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების დაცვა.

6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „არ ემ ჯი კოპერის“ (ს/კ 225358341).

7. ბრძანება ძალაში შევიდეს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ მისი გაცნობისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/828-21-4-202512311353

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

20 თებერვალი 2026

N 111/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 დეკემბრის №828/ს ბრძანებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის №2-978 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ და „რ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომები „ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, სს „არ ემ ჯი კოპერის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შეთანხმების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 31 დეკემბრის №828/ს ბრძანებაში:

   ა) ბრძანების სათაურის შემდეგ არსებულ პირველ აბზაცში, სიტყვების „(საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 08 ივლისის №2-626 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება)“ ნაცვლად მიეთითოს სიტყვები „(სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 22 ნოემბრის №665/ს ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში, სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მათ შორის მშრალი კუდების სანაყაროს მოწყობა-ექსპლუატაცია)).“

   ბ) ბრძანების მე-8 პუნქტში არსებული სიტყვების „(თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)“ ნაცვლად მიეთითოს სიტყვები „(ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „არ ემ ჯი კოპერს“.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/111-21-4-202602201452

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE